www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მაჩვენებლები

2024/2025 სასწავლო წელი

02.12.2024
www.geostat.ge

02.12.2024

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მაჩვენებლები

(2024/2025 სასწავლო წელი)

2024/2025 სასწავლო წლის დასაწყისისთვის, საქართველოში 2 294 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება (სკოლა) იყო, მათ შორის 2 086 საჯარო და 208 კერძო. წინა სასწავლო წელთან შედარებით, ქვეყანაში არსებული სკოლების რაოდენობა 2 ერთეულით შემცირდა. რეგიონების მიხედვით, ყველაზე მეტი სკოლა (17.1%) იმერეთში ფიქსირდება.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა 2020/2021-2024/2025 სასწავლო წლის დასაწყისისთვის.

დიაგრამა №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა



02.12.2024

2024/2025 სასწავლო წლის დასაწყისისთვის, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში 640.7 ათასი მოსწავლე სწავლობდა, რაც წინა სასწავლო წლის მაჩვენებელს 1.0 პროცენტით აღემატება. საჯარო სკოლებში მოსწავლეთა საერთო რიცხოვნობის 89.0 პროცენტი სწავლობს, ხოლო კერძო სკოლებში - 11.0 პროცენტი. მოსწავლეთა საერთო რიცხოვნობიდან 48.3 პროცენტი გოგოა, ხოლო 51.7 პროცენტი - ბიჭი.

რეგიონებს შორის, ყველაზე მეტი მოსწავლე (35.8%) თბილისში სწავლობს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მოსწავლეთა რიცხოვნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში 2020/2021-2024/2025 სასწავლო წლების დასაწყისისთვის.

დიაგრამა №2

მოსწავლეთა რიცხოვნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში
(ათასი)



02.12.2024

2024 წელს საშუალო სკოლა დაასრულა 41.7 ათასმა მოსწავლემ, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს 11.8 პროცენტით ნაკლებია. დაწყებითი განათლება მიიღო 56.0 ათასმა მოსწავლემ, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 1.1 პროცენტით ნაკლებია, ხოლო საბაზო განათლება - 46.7 ათასმა მოსწავლემ, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 0.1 პროცენტით ნაკლებია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია იმ მოსწავლეთა რიცხოვნობა, რომელთაც მიიღეს დაწყებითი, საბაზო და საშუალო განათლება, 2020-2024 წ.წ.

დიაგრამა №3

დაწყებითი, საბაზო და საშუალო განათლების მიღების მაჩვენებლები
(ათასი)



02.12.2024

2024/2025 სასწავლო წლის დასაწყისისთვის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებული იყო 66.0 ათასი მასწავლებელი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 3.7 პროცენტით მეტია. მასწავლებელთა დიდ უმრავლესობას ქალები შეადგენენ, კერძოდ, პედაგოგების რიცხოვნობაში ქალების წილი 87.5 პროცენტი, ხოლო კაცების წილი 12.5 პროცენტია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მასწავლებლების რიცხოვნობა 2020/2021-2024/2025 სასწავლო წლებში.

დიაგრამა №4

პედაგოგების რიცხოვნობა საჯარო და კერძო სკოლებში
(ათასი)



საკონტაქტო პირები:

ვასილ წაქაძე, ტელ: (+995 32) 236 72 10 (600), E-mail: vtsakadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: (+995 32) 236 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge